2023

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა

საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში

2023 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 7,072,220 (+30.3%) შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტების რაოდენობას 6,171,540 (+31.2%; 87.3%) და სხვა ვიზიტებს (არასტურისტული) 900,680 (+24.6%; 12.7%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებიდან 4,669,467 (+27.8%; 75.7%) ტურისტული ვიზიტი (ვიზიტი ღამისთევით) იყო, ხოლო 1,502,073 (+42.9%; 24.3%) ერთდღიანი ვიზიტი.

ტურისტული ვიზიტები ხასიათდება განსაკუთრებით მაღალი ზრდით, შესაბამისად გაზრდილია მათი წილიც მთლიან ვიზიტორებში, კერძოდ, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ტურისტული ვიზიტების წილი 65.8%-დან 75.7%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტების წლიური ზრდა 27.8%-ს უტოლდება.

საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება მეზობელი და სხვა ქვეყნების რეზიდენტებს შორის. მეზობელი ქვეყნების ვიზიტებიდან მხოლოდ 64.6%-ია ტურისტული ვიზიტი (2,571,163), იგივე მაჩვენებელი სხვა ქვეყნების შემთხვევაში კი 95.6%-ია (2,098,304). თავის მხრივ, მეზობელი ქვეყნების წილი ვიზიტორებში 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია 71.4%-დან 64.4%-მდე.

ყველაზე მეტი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი წლის განმავლობაში მესამე კვარტალში დაფიქსირდა 2,706,863, რაც +19.4%-იანი ზრდაა წინა წლის ყველაზე მაღალ მონაცემთან შედარებით. ამ პერიოდში ვიზიტების რაოდენობამ 2023 წელს დაფიქსირებული მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 38.3% შეადგინა. ყველაზე ნაკლები ვიზიტი კი პირველ კვარტალში დაფიქსირდა 1,208,462 (17.1%).

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა 4,195,723 (+34.3%; 68%) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტი 1,921,872 (+25.1%; 31.1%), საზღვაო და სარკინიგზო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 28,724 (+59.3%; 0.5%) და 25,221 (-4.3%; 0.4%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტი 1,449,194 (+36.8%; 23.5%), მას მოსდევს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 1,230,888 (+18.3%; 19.9%) და ყაზბეგის სასაზღვრო გამშვები პუნქტი 1,186,953 (+40.6%; 19.2%) ვიზიტით. საერთაშორისო ვიზიტების უდიდესი წილი სწორედ ამ სამი საზღვრიდან ფიქსირდება, რაც მთლიანი ვიზიტების 62.7%-ია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 422,227 (+54.7%) შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი პოლონეთიდან 91,210 (+117.6%; 21.6%), გერმანიიდან 68,824 (+41.8%; 16.3%) და გაერთიანებული სამეფოდან 30,732 (+43.6%; 7.3%) დაფიქსირდა.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა მამაკაცების მიერ განხორციელდა - 3,911,413 (63.4%), ქალების ვიზიტებმა 2,260,127 (36.6%) შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი 31-50 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა განახორციელეს 3,020,686 (48.9%). მას მოსდევს 15-30 ასაკობრივი ჯგუფი 1,548,999 (25.1%) და 51-70 ასაკობრივი სეგმენტი 1,484,049 (24%). ყველაზე მცირე ასაკობრივი ჯგუფი 71+ მხოლოდ ვიზიტების 1.9%-ს აერთიანებს, რაც რაოდენობრივად 117,806 ვიზიტია.

ძირითადი ინფორმაცია
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა აღწერს ვიზიტების რაოდენობის დინამიკას, რომლებიც 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით განხორციელდა. მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც გულისხმობს დასრულებულ ვიზიტებს.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები
მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად მოვიხსენიებთ. არსებობს მოგზაურთა ორი ტიპი: ვიზიტორები და სხვა მოგზაურები.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს, საერთაშორისო ვიზიტს ვუწოდებთ.

სხვა მოგზაურები (არატურისტული) - მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წლის ან უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია.

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

ყველა მოგზაურთა ტიპი, რომლებიც ტურიზმში არიან ჩართულები ვიზიტორებს წარმოადგენენ. ამიტომ ვიზიტორი ტურიზმის სტატისტიკის მთლიანი სისტემის მთავარ კონცეფციად ითვლება. მოცემულ თავში სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით კეთდება ქვეყნების, საზღვრების, საზღვრის ტიპების, სქესის და ასაკის ტენდენციების ანალიზი. ტერმინი ვიზიტორი თავის მხრივ იყოფა ორ კატეგორიად: ტურისტები (ვიზიტორები ღამისთევით) და ერთდღიანი ვიზიტორები.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე:

www.gnta.ge

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების კლასიფიკაცია

ვიზიტის ტიპი	2022	2023	ცვლილება	ცვლილება%	წილი %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	5,426,903	7,072,220	1,645,317	30.3%	100.0%
საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები	4,703,945	6,171,540	1,467,595	31.2%	87.3%
ტურისტული ვიზიტი	3,652,949	4,669,467	1,016,518	27.8%	75.7%
ერთდღიანი ვიზიტი	1,050,996	1,502,073	451,077	42.9%	24.3%
სხვა (არატურისტული)	722,958	900,680	177,722	24.6%	12.7%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	მოსაზღვრე ქვეყანა	2022	2023	ცვლილება	ცვლილება%	წილი %
ჯამი	⬇	4,703,945	6,171,540	1,467,595	31.20%	100%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
სარფი	თურქეთი	1,059,151	1,449,194	390,043	36.8%	23.5%
თბილისის აეროპორტი	.....	1,040,729	1,230,888	190,159	18.3%	19.9%
ყაზბეგი	რუსეთი	844,115	1,186,953	342,838	40.6%	19.2%
სადახლო	სომხეთი	704,560	901,833	197,273	28.0%	14.6%
ქუთაისის აეროპორტი	.....	231,566	436,902	205,336	88.7%	7.1%
ბათუმის აეროპორტი	.....	264,021	254,082	-9,939	-3.8%	4.1%
ნინოწმინდა	სომხეთი	118,367	163,476	45,109	38.1%	2.6%
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	147,873	149,917	2,044	1.4%	2.4%
კარწახი	თურქეთი	126,707	143,686	16,979	13.4%	2.3%
ვალე	თურქეთი	39,121	79,035	39,914	102.0%	1.3%
გუგუთი	სომხეთი	42,374	64,076	21,702	51.2%	1.0%
ცოდნა	აზერბაიჯანი	40,886	57,490	16,604	40.6%	0.9%
სადახლოს რკინიგზა	სომხეთი	24,172	23,855	-317	-1.3%	0.4%
ფოთის პორტი	.....	9,006	13,709	4,703	52.2%	0.2%
ბათუმის პორტი	.....	7,689	12,032	4,343	56.5%	0.2%
ყულევის პორტი	.....	1,341	2,983	1,642	122.4%	0.0%
გარდაბნის რკინიგზა	აზერბაიჯანი	1,159	1,061	-98	-8.5%	0.0%
კარწახის რკინიგზა	თურქეთი	1,024	305	-719	-70.2%	0.0%
ახკერპი	სომხეთი	84	63	-21	-25.0%	0.0%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები, პირველი 15 ქვეყანა

ქვეყანა	2022	2023	ცვლილება	ცვლილება %
რუსეთი	1,087,257	1,418,464	331,207	30.5%
თურქეთი	925,561	1,396,660	471,099	50.9%
სომხეთი	742,593	962,540	219,947	29.6%
ისრაელი	210,178	217,065	6,887	3.3%
აზერბაიჯანი	152,969	199,835	46,866	30.6%
ყაზახეთი	120,494	167,492	46,998	39.0%
უკრაინა	168,915	146,931	-21,984	-13.0%
ბელარუსი	130,046	130,203	157	0.1%
ირანი	102,877	126,282	23,405	22.8%
პოლონეთი	41,917	91,210	49,293	117.6%
ინდოეთი	52,841	84,688	31,847	60.3%
საუდის არაბეთი	119,921	72,953	-46,968	-39.2%
გერმანია	48,548	68,824	20,276	41.8%
უზბეკეთი	47,953	52,088	4,135	8.6%
ჩინეთი	7,380	48,304	40,924	554.5%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 15 ქვეყანა

ქვეყანა	2022	2023	ცვლილება	ცვლილება %
რუსეთი	868,229	1,110,762	242,533	27.9%
თურქეთი	540,135	770,811	230,676	42.7%
სომხეთი	383,226	515,668	132,442	34.6%
ისრაელი	205,874	211,548	5,674	2.8%
აზერბაიჯანი	135,429	173,922	38,493	28.4%
ყაზახეთი	115,022	159,008	43,986	38.2%
უკრაინა	156,919	132,127	-24,792	-15.8%
ბელარუსი	125,615	124,333	-1,282	-1.0%
ირანი	100,910	123,737	22,827	22.6%
პოლონეთი	41,150	88,405	47,255	114.8%
ინდოეთი	52,688	83,930	31,242	59.3%
საუდის არაბეთი	117,480	70,676	-46,804	-39.8%
გერმანია	45,635	64,468	18,833	41.3%
უზბეკეთი	46,004	49,432	3,428	7.5%
ჩინეთი	7,255	46,875	39,620	546.1%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტების მახასიათებლები

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 6,171,540 შეადგინა. მათგან 75.7% (4,669,467) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 24.3% ერთდღიანი ვიზიტი (1,502,073) იყო.

საქართველოში მთლიანი ვიზიტების 72.8% განმეორებით განხორციელდა, 27.2% კი პირველი ვიზიტი იყო. განმეორებითი ვიზიტების ყველაზე დიდი წილი აზერბიჯანის (97.7%) და სომხეთის (97.2%) ვიზიტებზე მოდის (96%), მას მოსდევს რუსეთი (82.3%) და ისრაელი (79.7%). პირველადი ვიზიტების რაოდენობაში კი ლიდერობენ გერმანია და ყაზახეთი, მათზე შესაბამისად მთლიანი პირველადი ვიზიტების 48.5% და 40.1% მოდის.

საერთაშორისო ვიზიტორების 46.3% საქართველოს სტუმრობს ოჯახთან ან ნათესავებთან ერთად. თითქმის თანაბარი რაოდენობით ეწვია ვიზიტორები, რომლებიც მარტო მოგზაურობენ (26.1%) და ვიზიტორები, რომლებიც მეგობრებთან ერთად მოგზაურობენ (26.1%). ვიზიტორთა 3.5% კი კოლეგებთან ერთად.

24%
თბილისი – ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

8%
ქუთაისი

7%
ბათუმი

მოგზაურობის მიზანი

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (52.3%). სხვა, ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (20.4%), ტრანზიტი (12.8%), პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობა (6.8%) და შოპინგი (5.4%), ხოლო, ვიზიტების 2.4%, სხვა მიზნით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა

2023 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 33,307,707-ს შეადგენს, მათი საშუალო ღამისთევა კი 5.4 ღამეა.

ყველაზე ხანგრძლივად საქართველოში რჩებიან ვიზიტორები ინდოეთიდან (13.8 ღამე), ასევე ბელარუსიდან (11 ღამე) და ამერიკის შეერთებული შტატებიდან (10 ღამე).

დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით ვიზიტორების საშუალო ღამისთევა 5.9 ღამეა, მეგობრების და ნათესავების მონახულების სეგმენტის 6.9 ღამე, პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით განხორციელებული ვიზიტების საშუალო რაოდენობა კი 6.1 ღამე. საქართველოში შემოსული პირველადი ვიზიტორების საშუალო ღამისთევები 5.2 ღამეს შეადგენს, განმეორებითი შემოსულების კი 5.8 ღამეს. საჰაერო ტრანსპორტით შემოსულები საშუალოდ უფრო მეტი ხნით რჩებიან - 7.9 ღამე, ვიდრე სახმელეთო ტრანსპორტით შემოსულები - 4.2 ღამე.

ვიზიტორთა 40.1% განთავსების საშუალებებიდან უპირატესობას სასტუმროს, 23.9% - ნაქირავებ სახლს (ოთახს), ხოლო 7.1% სასტუმრო სახლს, ჰოსტელს ანიჭებდა. ვიზიტორთა დანარჩენი ნაწილი კი სხვა ტიპის განთავსების საშულებებში რჩებოდა.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. ინტერვიუები ტარდება კვარტლურად, სისტემური შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა იცვლება კვარტლების მიხედვით: I, II და IV კვარტალში - თვეში 900 რესპონდენტი, III კვარტალში - თვეში 1300 რესპონდენტი.

ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას ათ უდიდეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვარები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანმხლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე: www.gnta.ge

ვიზიტის დანიშნულების რეგიონი და ადგილი

ვიზიტების 50% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს აჭარა 44.9%-ითა და მცხეთა-მთიანეთი 18.3%-ით. დანარჩენ რეგიონებს ვიზიტორთა ბევრად მცირე ნაწილი სტუმრობს, მათ შორის: ქვემო ქართლი - 8.6%, სამცხე-ჯავახეთი - 8.2%, იმერეთი - 7.8%, კახეთი - 5.6%, შიდა ქართლი - 3.8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1.8%, გურია - 1.2%, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 0.1%.

ყველაზე მეტად მონახულებად ადგილებში თბილისი (50%) და ბათუმი (44%) ლიდერობენ. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო ნაკლები რაოდენობა ესტუმრა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია: მცხეთა 9.4%, ყაზბეგი 8.1% და ქუთაისი 7.7%. მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილებია ასევე: მარნეული (5.9%), გუდაური (5.3%), ბორჯომი (5.2%), სიღნაღი (3.7%), გორი (3.6%) და ქობულეთი (2.4%).

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 12.9 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 2,097 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი განთავსების საშუალებებზე (მთლიანი ხარჯების 36.4%) და შოპინგზე (23.4%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (10%), ხოლო საკვებზე და სასმელზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების 21.6%-ი გასწიეს.

დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით ვიზიტების საშუალო დანახარჯი ერთ ვიზიტზე შეადგენდა 2,488 ლარს, პროფესიული ეკონომიკური საქმიანობის სეგმენტის საშუალო დანახარჯი კი 2,028 ლარით განისაზღვრა.

კმაყოფილების დონე

საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტების კმაყოფილების დონე შემდეგნაირად ნაწილდება: 53.6% ძალიან კმაყოფილი დარჩა; 39.5% იყო კმაყოფილი; 5.4% - არც უკმაყოფილო, არც კმაყოფილი; 0.9% იყო უკმაყოფილო; 0.4% კი ძალიან უკმაყოფილო. ვიზიტორების 0.1%-ს კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შესაბამისად, 5 ბალიანი სისტემიდან საშუალო კმაყოფილების დონე არის 4.45.

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური



ოჯახი, ნათესავები | მარტო | მეგობრები | კოლეგები | სხვა

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი ლარი (X1000)	დანახარჯის წილი
განთავსების საშუალებები	4,712,893	36.4%
შოპინგი	3,026,004	23.4%
საკვები და სასმელი	2,797,533	21.6%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,300,905	10.0%
ადგილობრივი ტრანსპორტი	943,380	7.3%
სხვა დანახარჯები	163,690	1.3%
მთლიანი დანახარჯი	**12,944,405**	**100.0%**

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტოპ 10 არამეზობელი ქვეყანა საშუალო დანახარჯის და ღამისთევის მიხედვით

ქვეყანა	საშუალო დანახარჯი ვიზიტზე (ლარი)	საშუალო ღამისთევის რაოდენობა
უკრაინა	5,596	8.9
ყაზახეთი	5,017	6.4
საუდის არაბეთი	3,916	7.7
ქუვეითი	3,507	6.9
ბელარუსი	3,302	11.0
არაბთა გაერთიანებული საემიროები	2,997	6.1
აშშ	2,975	10.0
ირანი	2,433	6.6
ისრაელი	2,221	7.2
გერმანია	2,063	6.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები რეგიონების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები ლოკაციების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტების მახასიათებლები

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 19.2 მილიონი ვიზიტი განახორციელეს, ყველაზე მეტი მოგზაურობა (30.7%) თბილისიდან დაფიქსირდა. შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმარ-თულებით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 1.5 ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - 2.2 ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი ერთ ღამეს შეადგენდა. შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი (47.2%) საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. ვიზიტორე-ბის 9.6%-ისთვის მოგზაურობის მთავარ მიზანს, მეორე სახლის მონახულება წარმოადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილი 17.6% დაიკავა შოპინგის მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა. რაც შეეხება დასვენება, გართობა/რეკრეაციის მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს, მათი წილი 11% იყო. მკურნალობა/გავჯანსაღების მიზნით კი ვიზიტების 8.5% განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა 2.6%.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

შიდა ვიზიტების 23% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოსდევს ქუთაისი 9.4% და ბათუმი 7%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 3.4%, მცხეთა 2.8%, გორი 2.2%, ზესტაფონი 2% % და თელავი 1.6%. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 21.4%, აჭარა 10.4% და კახეთი 8.3% იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ღამისთევების საერთო რაოდენობამ 29.5 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 58.5% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 27.5% - საკუთარ სახლში, ხოლო 3.9% კი სასტუმრო სახლსა და ჰოსტელში.

დანახარჯები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 3.3 მილიარდ ლარს შეადგენდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 173.8 ლარს. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 34.9% შოპინგზე დაფიქსირდა, შემდეგ მოდის დანახარჯი საკვებზე და სასმელზე 24.6%, ადგილობრივ ტრანსპორტზე 20% და 5.6% განთავსების საშუალებებზე.

კმაყოფილების დონე

შიდა ვიზიტორის ვიზიტების კმაყოფილების დონე შემდეგნაირად ნაწილდება: 24.2% ძალიან კმაყოფილი დარჩა; 59.1% იყო კმაყოფილი; 14% - არც უკმაყოფილო, არც კმაყოფილი; 1.8% იყო უკმაყოფილო; 0.6% კი ძალიან უკმაყოფილო. ტურისტთა 0.3%-ს კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შესაბამისად, 5 ბალიანი სისტემიდან საშუალო კმაყოფილების დონე არის 4.05

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი - საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთესად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, სატრანსპორტო საშუალებები, კმაყოფილების დონე, დანახარჯები.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

თბილისი
23% ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

ქუთაისი
9.4%

ბათუმი
7%

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის დანახარჯები

კომპონენტები	მთლიანი ხარჯი ლარი (x1000)	დანახარჯის წილი
შოპინგი	1,165,632	34.9%
საკვები და სასმელი	819,229	24.6%
ადგილობრივი ტრანსპორტი	667,056	20.0%
სხვა დანახარჯები	459,172	13.8%
განთავსების საშუალებები	187,186	5.6%
რეკრეაცია, კულტურული აქტივობები	37,296	1.1%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონახულებული რეგიონები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ვიზიტების მახასიათებლები

გამყვანი ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 2,246,769 შეადგინა. მათგან 60.5% (1,359,195) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 39.5% ერთდღიანი ვიზიტი (887,574) იყო.

გამყვანი ვიზიტების ყველაზე დიდ ნაწილს (49.0%) 31-50 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენდა, 51-70 წლის ვიზიტორები 23.0%-ს შეადგენდნენ, ხოლო 15-30 წლის ასაკობრივი ჯგუფი 25.9%-ს. გამყვანი ვიზიტორების მხოლოდ 2.1% იყო 71+ ასაკის. ვიზიტების უმრავლესობა 53.4% მამაკაცების მიერ განხორციელდა, ხოლო 46.6% კი ქალების მიერ.
მთლიანი ვიზიტების 97.2% განმეორებითი ვიზიტი იყო, 2.8% კი პირველადი ვიზიტით განხორციელდა.

მოგზაურობის მიზანი

გამყვანი ვიზიტების უმრავლესობა შოპინგის მიზნით განხორციელდა (35.4%), ასევე მეგობრების, ნათესავების მონახულების მიზნით (32.3%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა: დასვენება, გართობა, რეკრეაცია (14.1%), ეკონომიკური საქმიანობა (12.5%), მკურნალობა, გაჯანსაღება (2.9%) და განათლება (1.2%), ხოლო, ვიზიტების 1.4% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

განთავსების საშუალებები და ხანგრძლივობა

2023 წელს გამყვანი ვიზიტების ჯამურმა ღამისთევების რაოდენობამ 14,670,927 შეადგინა, მათი საშუალო ღამისთევა კი 6.5 ღამე იყო.

მთლიანი ღამისთევებიდან ყველაზე დიდი წილი (41%) მეგობრებისა და ნათესავების სახლში განხორციელდა. შემდეგ მოდის საკუთარი სახლი (18.2%), სასტუმრო (17.7%) და ნაქირავები ოთახი, სახლი (13.2%). სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება.

გამყვანი ვიზიტის დანიშნულების ადგილი

მთლიანი ვიზიტების უმრავლესობა, 72.8% მეზობელ ქვეყნებში განხორციელდა. მათ შორის ლიდერი თურქეთია - 44.9%, მას მოსდევს სომხეთი - 15.5% და რუსეთი - 13%. საქართველოდან მეზობელ ქვეყნებში ყველაზე ნაკლები ვიზიტი - 2% აზერბაიჯანში განხორციელდა. არამეზობელ ქვეყნებში შედარებით ნაკლები ვიზიტები ხორციელდება. მათ შორის ლიდერობს არაბთა გაერთიანებული საემიროები (3.3%), გერმანია (2.5%) და პოლონეთი 2.1%.

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

2023 წელს გამყვანი ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 2.04 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 907 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი შოპინგზე (მთლიანი ხარჯების 41.9%), საკვებსა და სასმელზე (24.6%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი განთავსებაზე დანახარჯები (16.7%), ხოლო კულტურულ და სხვა აქტივობებზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების 4.5% გასწიეს.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება, ინტერვიუები ტარდება კვარტალურად სისტემური შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა არის წელიწადში 12 000 კითხვარი (თვეში 1 000 კითხვარი). ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებთან, რომლებიც ბრუნდებიან საქართველოში უცხოეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ. გამოკითხვა ტარდება ათ სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვრები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანმხლები პირი, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული აქტივობები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების სტრუქტურა	მთლიანი დანახარჯი ლარი (X 1000)	დანახარჯის წილი
შოპინგი	853,344	41.9%
საკვები და სასმელი	501,881	24.6%
განთავსების საშუალებები	339,575	16.7%
ადგილობრივი ტრანსპორტი	189,642	9.3%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	90,891	4.5%
სხვა დანახარჯები	61,759	3.0%
მთლიანი დანახარჯი	**2,037,092**	**100.0%**

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ვიზიტები, ტოპ ქვეყნები

მონახულებული ქვეყნები	2023	წილი%
თურქეთი	1,008,541	44.9%
სომხეთი	348,980	15.5%
რუსეთი	292,029	13.0%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	74,432	3.3%
გერმანია	56,463	2.5%
აზერბაიჯანი	45,125	2.0%
პოლონეთი	46,191	2.1%
იტალია	30,635	1.4%
ისრაელი	24,282	1.1%
საფრანგეთი	22,371	1.0%
სხვა	378,277	16.2%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2023 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ მშპ-ში 9.1% შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით 23.2%) და ხელი შეუწყო 27 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9.1%-ით მეტია. შიდა ვიზიტორების დანახარჯები 2023 წელს წინა წელთან შედარებით 18.1%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებს, წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 31.1%-ით გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს (Economic Impact of Travel and Tourism 2023, Annual Update, WTTC).

ტურიზმი - უხილავი ექსპორტი

უცხოელი მოგზაურების დანახარჯებს დიდი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს არარეზიდენტების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს. საქართველოში 2023 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) შემოსავალმა 4.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა +17.3%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ მოგზაურობაზე 503.7 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა +23.3%). შედეგად, საერთაშორისო მოგზაურობის ბალანსი საქართველოში 3.62 მილიარდი აშშ დოლარით (ზრდა +16.5%) განისაზღვრა. აღნიშნული ცვლილებები აისახა საერთაშორისო მოგზაურობის წილზე სერვისის ექსპორტში, რომელიც 62.3%-დან 59.9%-მდე შემცირდა.

2023 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 3.5 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით -1.8%-იანი კლება დაფიქსირდა.

ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წილი ეკონომიკაში

წინასწარი მონაცემებით 2023 წელს მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 4.9 მილიარდ ლარამდე შეადგინა (ზრდა +12%). შედეგად, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ის წილი 7.1% შეადგინა. 2023 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა ტრანსპორტში (წილი 42.7%), განთავსების საშუალებებში (წილი 28.3%), კვების საშუალებებსა (წილი 26.5%) და ტურისტულ კომპანიებში (წილი 2.6%).

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

1. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.
2. ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.
3. უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან.
4. უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე.
5. უცხოური ტურიზმის ბალანსი.
6. საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები.

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაში კონტრიბუციის შესახებ იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **www.geostat.ge** საქართველოს ეროვნული ბანკისა **www.nbg.gov.ge** და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საიტზე: **www.gnta.ge**



ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2020-2023 (მლნ ლარი)

	2020	2021	2022	2023	ცვლილება % 2022-2023
სულ	2,558	3,498	4,377	4,924	12%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
ტრანსპორტი	1,235	1,476	1,777	2,101	8.8%
განთავსება	637	1,096	1,331	1,391	4.5%
საკვებით და სასმე-ლებით მომსახურება	568	687	998	1,303	30.5%
ტურისტული სააგენტო	32	101	117	129	10.2%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან 2020-2023 (ათასი აშშ დოლარი)

	2020	2021	2022	2023	ცვლილება % 2022-2023
სულ	541,687	1,244,942	3,516,634	4,125,329	17%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
I კვ	427,699	53,551	393,708	795,417	102%
II კვ	28,842	246,123	748,822	1,009,113	35%
III კვ	42,534	565,981	1,374,653	1,447,122	5%
IV კვ	42,611	379,287	999,451	873,677	-13%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საავიაციო ბაზარი

2023 წელს საქართველოს ყველა აეროპორტის ჯამურმა მგზავრთნაკადმა 5,999,206 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებმა მგზავრთნაკადის +35.6%-იანი ზრდა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, 2023 წელს Wizz Air Hungary არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა გადაყავს. 2023 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 1,270,737 (22%) შეადგინა. Turkish Airlines არის მგზავრთა სიდიდით მეორე კომპანია 627,078 (10.9%). მას მოსდევს Pegasus Airlines – 423,655 (7.3%); Azerbaijan Airlines – 324,044 (5,6%); Georgian Airways – 320,355 (5,5%); Fly Dubai - 218,433 (3.8%); EL AL Israel Airlines – 200,320 (3.5%); Belavia – 184,117 (3.2%); Israir Airlines – 180,110 (3.1%).

2023 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე ცხრა ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა, მათ შორისაა: SunExpress, Iraqi Airways, Flyone Airlines, Azimuth Airlines, Indigo Airlines, Armenian Airlines, Red Wings Airlines, Centrum Air. ასევე აღსანიშნავია ახალი მიმართულებებით დამატებული რეისები: Wizz Air Hungary-მ დაიწყო ფრენები ქუთაისი-ჰამბურგის, ქუთაისი-მადრიდის, ქუთაისი-ფრანკფურტის, ქუთაისი-ბრიუსელის, ქუთაისი-პოზნანისა და ქუთაისი-კიოლნის მიმართულებით.

2023 წლის მიხედვით, საქართველოში ფრენებს ახორციელებდნენ შემდეგი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები: Pegasus Airlines, Air Arabia, Air Arabia – Abu Dhabi, Air Baltic, Buta Airways, Air Cairo, Flynas, Flyadeal, FlyArystan, Jazzira Airways, Fly Dubai, Wizz Air Hungary, Wizz Air Abu Dhabi, Wizz Air Malta, Eurowings, Condor, Fly Jordan, Fly One Armenia, Flyone Airlines, Fly Arna, Getjet, Indigo airlines, Anadolujet Airlines, SunExpress.

2024 წელს დაგეგმილია რამდენიმე ახალი ავიაკომპანიის შემოსვლა საქართველოს ავიაბაზარზე, რომლებიც გეგმავენ ორმხრივი რეგულარული ფრენების დაწყებას. ნიდერლანდური ავიაკომპანია Transavia რეგულარულ ფრენებს კვირაში ორი სიხშირით თბილისიდან ამსტერდამის მიმართულებით დაიწყებს. ასევე ოპერირებას გეგმავენ ავსტრიის ავიახაზები თბილისი-ვენას მიმართულებით კვირაში სამი სიხშირით და ავიაკომპანია AJet თბილისიდან სტამბულის მიმართულებით კვირაში შვიდჯერ განახორციელებს ფრენებს.

47 საერთაშორისო და ერთი ქართული ავიაკომპანია მგზავრებს კომფორტულ ფრენებს სთავაზობდა საქართველოდან, ხოლო ერთი ქართული ავიაკომპანია (Ak-Air Georgia) შიდა ფრენებს ქვეყნის ტერიტორიაზე.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოში სამი საერთაშორისო და სამი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა წელიწადში 6.1 და 1.5 მილიონი მგზავრია. აღსანიშნავია ქუთაისის აეროპორტის გაფართოება, ქუთაისის აეროპორტი საქართველოში სიდიდით მეორე საერთაშორისო აეროპორტია. განახლებული აეროპორტის ტერმინალის ფართობი დაახლოებით 6-ჯერ აღემატება ძველი ტერმინალის ფართობს და ჯამურად 30,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. აეროპორტს 7 გასასვლელი აქვს და მისი წლიური გამტარუნარიანობა, მკვეთრად გამოხატული პიკური დატვირთვების პირობებშიც კი 2,500,000 მგზავრზე მეტი იქნება. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50,000 და 50,000 მგზავრია წელიწადში.

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი და ამბროლაურის აეროპორტი.

ავიაციის სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ გვერდზე: https://gcaa.ge/

+22.8%

26,058
რეისები

+35.6%

5,999,206
მგზავრები

მგზავრთნაკადის გადანაწილება თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ავიაკომპანიების წილობრივი გადანაწილება რეგულარული ფრენების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

საქართველოს აეროპორტები: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

განთავსების ობიექტები

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 3,198 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 128,015. აჭარის რეგიონი ლიდერია 33,851 (26%) საწოლი ადგილით, ხოლო მას მოსდევს თბილისი - 32,192 (25%) ადგილით.

თბილისში საკმაოდ ბევრი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროა: Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi Marriott, Courtyard Marriott, Sheraton, Holiday Inn, Citadines Apart Hotel, Best Western Tbilisi, Mercure, Hotels and Preference, The Biltmore Hotel, Ibis Styles Tbilisi Center, Best Western Tbilisi City Centre, Ramada Encore, Moxy by Marriott, Wyndham Grand და Ibis Tbilisi Stadium, Hilton Garden Inn, Ramada by Wyndham Tbilisi Old City, Pullman Hotels & Resort, Golden Tulip Design Tbilisi Hotel, Ibis Hotel Tbilisi, Ramada Tbilisi, Onyx Hotel, Holiday inn Express Tbilisi Avlabari, Paragraph Freedom Square, Hilton Garden Inn. ბოლო პერიოდში ამ სიას Paragraph Freedom Square და Hilton Garden Inn შეემატა.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები საქართველოს სხვა რეგიონებშიც ფუნქციონირებენ. აჭარის რეგიონში Courtyard by Marriott, Le Meridien Batumi, Hotel WYNDHAM BATUMI გაიხსნა. ასევე მნიშვნელოვანი ბრენდი სასტუმროები დაემატა საქართველოს სასტუმროების ბაზარს: IREPALACE Goderdzi (გოდერძი), West in Georgia (ქუთაისი), The Grandeur Hotel (ბათუმი), Esquisse Design Hotel Telavi (თელავი), Rooms Hotel Batumi (ბათუმი), Glarros OldTown (თბილისი), Gori Inn (გორი), Ambassadori Kachreti Golf Resort (კაჭრეთი), Akhaltsikhe Inn (ახალციხე), Swissotel Tbilisi (თბილისი) და სხვა.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და დაგეგმილია რამდენიმე განთავსების ობიექტის მშენებლობა. Hilton Double Tree, Babylon Tower , Greet by Accor, Hilton Tbilisi, Paragraph Golf & Spa Resort Tabori Hill, Best Western Plus Likani Resort, Paragraph Wellness Resort and Spa Abastumani, Hotel "Bodbe" Sighnaghi, Offices & Hotels at Erekle II Square, Paragraph Resort Ganmukhuri, Wellness Resort and Spa Mtsvane Kontskhi, Hotel Sololaki Hills, Ibis Hotel Tskaltubo და სხვა.

STR გლობალის თანახმად, 2023 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 50.8% იყო. ყველაზე მაღალი დატვირთვა ივნისში (66.2%), ივლისში (66%) და აგვისტოში (64.3%) დაფიქსირდა, ხოლო დაბალი თებერვალსა (36.9%) და იანვარში (38.7%). STR გლობალის მონაცემები სამი კატეგორიის ანალიზის საშუალებას იძლევა, ესენია: თბილისი, ბათუმი და დანარჩენი საქართველო. მათგან დატვირთვის კოეფიციენტით ლიდერობს ბათუმი 58.4%-ით, შემდეგ მოდის თბილისი 54.2%-ითა და დანარჩენი საქართველო 47.5%-ით.

დატვირთვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგი ბრენდირებული სასტუმროების გათვალისწინებით:

Best Western Tbilisi, Tbilisi; Citadines City Centre Tbilisi, Tbilisi; Courtyard Marriott Hotel, Tbilisi; Crown plaza Borjomi, Borjomi; Hilton Hotel & Resorts, Batumi; Holiday Inn Tbilisi, Tbilisi; Hotels and Preference Hualing Tbilisi, Tbilisi ; Mercure Tbilisi Old Town, Tbilisi; Radisson BLU Hotel, Batumi; Radisson BLU Iveria Hotel, Tbilisi; Episode Tbilisi,Tbilisi; Golden Tulip Borjomi, Borjomi; Rooms Hotel Tbilisi, Tbilisi; Sheraton Batumi Hotel, Batumi; Sheraton Metechi Palace Hotel, Tbilisi; Tbilisi Marriott Hotels, Tbilisi; The Biltmore Hotel Tbilisi; Ibis Styles Tbilisi Center, Tbilisi; Best Western Kutaisi, Kutaisi; Batumi; Wyndham Batumi, Batumi; Euphoria Hotel, Batumi; Moxy by Marriott, Tbilisi; Best Western Sairme Resorts, Sairme; Best Western Tbilisi City Centre, Tbilisi; Best Western Premier Batumi, Batumi; Stamba Hotel, Tbilisi; Georgia Palace Hotel & Spa Kobuleti, Kobuleti; Borjomi Likani Hotel Radisson BLU Tsinandali, Tsinandali; Wyndham Grand Tbilisi, Tbilisi; Park Hotel Tsinandali, Tsinandali; Ibis Tbilisi Stadium, Tbilisi; Holiday Inn Telavi, Telavi. Golden Tulip Design Tbilisi, Tbilisi; Ramada by Wyndham Tbilisi old city, Tbilisi; Ambassadori Tbilisi Hotel, Tbilisi; Lota Hotel Tbilisi, Tbilisi; Le Meridien Batumi, Batumi; Ibis Budget Tbilisi Center, Tbilisi; Hilton Garden inn Tbilisi Chavchavadze, Tbilisi; Paragraph Resort Spa Shekvetili Autograp Collection, Shekvetili; Alliance Palace Batumi; Batumi; The Grand Gloria Hotel in Batumi, Batumi; Bellevue Residence Batumi, Batumi; Bellevue Hotel Batumi, Batumi; Radison RED Tbilisi, Tbilisi; Holiday Inn Express Tbilisi Avlabari, Tbilisi; Tbilisi philharmonic by Mercure Hotel, Tbilisi; Paragraph Freedom Squares, Tbilisi; Tbilisi Chambers Trademark Collection by wyndham, Tbilisi; Pullman Tbilisi Tower, Tbilisi; Trademark Collection by Wyndham Grigoleti, Grigoleti; Courtyard Batumi, Batumi; ramada Plaza By Wyndham Batumi, Batumi

განთავსების საშუალებების განაწილება



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები ოთახების რაოდენობის და რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დატვირთვის კოეფიციენტი ბრენდირებულ სასტუმროებში



წყარო: STR Global

დატვირთვის კოეფიციენტი ბრენდირებულ სასტუმროებში: საქართველო, თბილისი, ბათუმი, დანარჩენი საქართველო



წყარო: STR Global

2023-2024 წელს გახსნილი სასტუმროები



Paragraph Freedom Square (თბილისი)
Hilton Garden Inn (თბილისი)
IREPALACE Goderdzi (გოდერძი), West in Georgia (ქუთაისი),
The Grandeur Hotel (ბათუმი)
Esquisse Design Hotel Telavi (თელავი)
Rooms Hotel Batumi (ბათუმი)
Glarros OldTown (თბილისი)
Gori Inn (გორი)
Ambassadori Kachreti Golf Resort (კაჭრეთი)
Akhaltsikhe Inn (ახალციხე)
Swissotel Tbilisi (თბილისი)

+8.000
ადგილი

დაგეგმილი განთავსების ობიექტები 2024/2028

Hilton Double Tree
Babylon Tower
Greet by Accor
Hilton Tbilisi
Paragraph Golf & Spa Resort Tabori Hill
Best Western Plus Likani Resort
Paragraph Wellness Resort and Spa Abastumani
Hotel “Bodbe” Sighnaghi
Offices & Hotels at Erekle II Square
Paragraph Resort Ganmukhuri
Wellness Resort and Spa Mtsvane Kontskhi
Hotel Sololaki Hills
Ibis Hotel Tskaltubo
Radisson Racha
Ambassador Batumi
Ibis Style Batumi
Hilton Garden Inn
Hotel on King Erekle II’s Square (Small)
Rooms Abastumani
Salkhino Best Western
DoubleTree by Hilton
Sioni Lake Resort & SPA, Le Meridien by Marriott

+37.000
მეტი საწოლი ადგილი

დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად; დაცული ტერიტორიები ასევე გამოიყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 14 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 26 აღკვეთილი და 5 დაცული ლანდშაფტი, 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია; საქართველოში (IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით) 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 13%-ს (912 862 ჰა) მოიცავს.

2023 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 1,078,112 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდამ წინა წელთან შედარებით +19.5% შეადგინა. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 58.2%, ქართველი ვიზიტორების წილი კი 41.8%-ია.

ყველაზე მეტი ვიზიტორი პრომეთეს მღვიმეს - 230,677 (21.4%), მარტვილის კანიონს - 228,998 (21.2%) და სათაფლიას - 96,956 (9%) ესტუმრა. ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორიც პრომეთეს მღვიმეს - 180,760 (28.8%), მარტვილის კანიონს - 147,252 (23.4%) და მტირალას ეროვნულ პარკს - 77,010 (12.3%) ესტუმრა.

უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 627,497 იყო, ზრდა კი 28.5%. უცხოელ ვიზიტორებს შორის ჭარბობდნენ: რუსეთი (წილი 19.4%), პოლონეთი (12%), ისრაელი (7.3%), ყაზახეთი (7.2%) და ინდოეთი (6.5%).

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 11,015,903 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით 26.3%. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები - 5,563,365 ლარი (50.5%) და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლები - 4,834,943 ლარი (43.9%). სხვა დაცულ ტერიტორიებზე შედარებით მცირე შემოსავლები ფიქსირდება, მათი ჯამური მონაცემი 617,594 ლარს შეადგენს, რაც მთლიანი შემოსავლების 5.6%-ს წარმოადგენს.

ძირითადი ინფორმაცია

დაცული ტერიტორიების განვითარებაზე პასუხისმგებელ ორგანო დაცული ტერიტორიების სააგენტოა. მის საქმიანობის სფეროს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ვიზიტორები დაცულ ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ) ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.
დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო ნაკრძალი - მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით. ამ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობები არ არის დაშვებული.

ეროვნული პარკი - ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ბუნების ძეგლი - ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა).

აღკვეთილი - ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით.

დაცული ლანდშაფტი - ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

დაცული ტერიტორიების სტატისტიკა მოწოდებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდზე: http://www.apa.gov.ge/ge/

ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები ეროვნების მიხედვით

	2020	2021	2022	2023	ცვლილება% 2022-2023
სულ	240,268	589,098	902,063	1,078,112	19.5%
უცხოელები	26,432	311,014	488,408	627,497	28.5%
ქართველები	213,836	278,084	413,655	450,615	8.9%

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქართველი და უცხოელი ვიზიტორების განაწილება დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

შემოსავლების სტატისტიკა (ლარი)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ.

ტელ: +995 322 43 69 99 (30)
infostatistics@gnta.ge

მადლობა

ШИНАГАН САЕМЕТА
САМИНИСТРО

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

GEOSTAT
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

GCAA
GEORGIAN CIVIL AVIATION AGENCY

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო
ჭოველიძის ქ. 10ა, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05
ფაქსი: +(995 32) 292 15 34
E-mail: ministry@economy.ge
www.economy.ge

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel
www.gnta.ge

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

www.economy.ge

საქართველოს ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

www.georgia.travel